



შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
LLC TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

თბილისი

„18“ 02 2017

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 36/06

2017 წლის 14 თებერვლამდე პერიოდში უვადოდ განწესებული აკადემიური პერსონალის შრომის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 5 იანვრის საქართველოს კანონის (სარეგისტრაციო კოდი: 430020000.05.001.018313) საფუძველზე, თქუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 თებერვლის N02 და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N01 გადაწყვეტილებების, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დებულების მე-11 და მე-20 მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. უვადოდ არჩეულ თქუ აკადემიურ პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში შევიდეს ცვლილებები და შრომითი ხელშეკრულების ვადებად განისაზღვროს:

ა) პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებში - აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის საფუძველზე არჩევიდან (აკადემიურ თანამდებობაზე განწესების შესახებ თქუ რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღიდან) 8 წლის ვადით;

ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებში - აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის საფუძველზე არჩევიდან (აკადემიურ თანამდებობაზე განწესების შესახებ თქუ რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღიდან) 8 წლის ვადით;

გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებში - აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის საფუძველზე არჩევიდან (აკადემიურ თანამდებობაზე განწესების შესახებ თქუ რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღიდან) 4 წლის ვადით;

დ) ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებში - აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის საფუძველზე არჩევიდან (აკადემიურ თანამდებობაზე განწესების შესახებ თპუ რექტორის ბრძანების გამოცემის თარიღიდან) 4 წლის ვადით;

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მენეჯერს (ხ. ყურაშვილი) უზრუნველყოს, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, შრომის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, დასაქმებულთათვის გაცნობა, ორ ეგზემპლარად და ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარის დასაქმებულთათვის გადაცემა;

3. დასაქმებულის მიერ შრომის ხელშეკრულებაში ამ ბრძანების შესაბამისად ცვლილების შეტანაზე უარის დაფიქსირების (ხელმოწერაზე უარის) შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მენეჯერმა (ხ. ყურაშვილმა) საქართველოს შრომის კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს დასაქმებულისათვის უთანხმოების თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნა; შრომითი დავა გადაწყდეს საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლით განსაზღვრული წესით;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თპუ პრორექტორს (ვ. ყურაშვილს).

5. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს თპუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალენტინა საყვარელიძე

თპუ რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

